ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობებს იმის გამო, რომ საზოგადოებრივი ბოსლები არა აქვთ, მუშა პირუტყვი კოლმეურნეთაგან ნაქირავებ სადგომებში ჰყავთ. ამისათვის არტელი სადგომების მფლობელებს არიცხავს შრომადღეებს, უზრუნველყოფს პირუტყვს საკვებით.

ნახ. გ. ფირცხალავასი

№ 22 თბილისი ნოემბერი 1962

ნიანგი

გამოცემის მე-40 წელი, ფასი 20 კაპ.

— ჩვენი ბოსლის პატრონი დღედაღამე თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობს და შრომადღეებს კი ჩვენი ბინის ანგარიშზე უწერენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის ფოსტა

ნიანგი სისტემატურად ღებულობს გამოხმაურებას გამოქვეყნებულ ფელეტონებსა და კარიკატურებზე. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა ყურადღებით ეკიდება მის კრიტიკულ გამოსვლებს, დროულად ღებულობს ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და ნიანგსაც დაუყოვნებლივ უგზავნის პასუხს. მაგრამ არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც დუმილით უვლიან გვერდს გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს. ალბათ, მათ ჰგონიათ ნიანგი გულმავიწყიაო და თავს არიდებენ პასუხის გაცემას.

ასეთი ამხანაგების შესახებ ნიანგს ცალკე ექნება საუბარი. ახლა კი მიღებულ პასუხებს გავეცნოთ.

ფარეს, ფარეს, ვერ დაფარეს

ამ სათაურით გასული წლის 22-ე ნომერში ნიანგმა გამოაქვეყნა წერილი რეჯიბ კახიძისა და გული აგირბას „მოღვაწეობის" შესახებ. აღნიშნული სპეკულანტები აზერბაიჯანის საზღვარზე დააკავეს და 140 კილოგრამი ჩაი ჩამოართვეს.

ნიანგმა მიიღო ცნობა, რომ სასამართლომ რეჯიბსა და გულის გული რომ არ დაწყვეტოდათ, დამსახურების მიხედვით „დააჯილდოვა" ისინი.

ამასთან გამოძიების დროს და სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ აღნიშნულ პირებს კავშირი არ ჰქონიათ ბათუმის ჩაის ფაბრიკასთან და იქიდან არ გაუტაცებიათ ჩაი.

სტუდქალაქში გავლით

ნიანგმა მიმდინარე წლის მე-7 ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში მკითხველებს მოუთხრო სტუდქალაქში გავლის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

საკმაო დრო გავიდა წერილის გამოქვეყნებიდან და დღემდე ნიანგს მხოლოდ თბილპურვაჭრობის მუშაკებმა გამოუგზავნეს პასუხი, რომელშიც დაპირებას იძლევიან, რომ პურის შეზიდვის ახალი გრაფიკით საბოლოოდ აღმოიფხვრება ადრე გამოყენებული „პურის დაძველების უებარი მეთოდი".

ზოგიერთი ორგანიზაციები თავს არიდებენ პასუხის გაცემას. შეიძლება იმ მოტივით, რომ ნიანგმა ერთხელ უკვე გაიარა სტუდქალაქში და უკანვე ხომ აღარ გამოივლისო.

„მანქანამობილე"

მკითხველებს ახსოვთ ნიანგის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული წერილი „მანქანამობილე", რომელშიც მოთხრობილი იყო მანქანის ყიდვა-გაყიდვის მოყვარულთა შორის გაშლილი გახელებული შეჯიბრების შესახებ.

ჟიურიმ-სასამართლომ ავტოსპეკულანტური სპორტის მოყვარულებს სათანადო „ადგილები" მიაკუთვნა დამსახურების მიხედვით.

საქ. სსრ პროკურატურამ და ქ. თბილისის პროკურატურამ ოფიციალურად აცნობეს ნიანგს, რომ სასამართლოების მიერ გასამართლებული იქნენ ი. რაგიმოვი, ა. მკრტიჩიანი, მ. მხჩიანი და მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით. სათანადო სასჯელი დაედვათ აგრეთვე წერილში დასახელებულ სხვა ავტოსპეკულანტებს.

„წყალი გვწყურია"

ნიანგის ამავე ნომერში გამოქვეყნდა წერილი „წყალი გვწყურია", რომელიც შეეხებოდა ქ. თბილისის რუსთაველის პროსპექტის № 37 სახლის მცხოვრებთა წყლით მომარაგების საკითხს.

ამ საკითხზე ნიანგმა მიიღო მშრომელთა დეპუტატების თბილისის კალინინის რაიონის საბჭოს სამმართველოს საინტერესო პასუხი. მასში ვკითხულობთ:

„ბ) სახლმმართველობის მიერ შედგენილია საჭირო მასალები რუსთაველის გამზირი № 37 სახლში დაზიანებული წყალსადენის ქსელის გამოსაცვლელად"...

პასუხი ისეთია, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვა, და ცხადია, რუსთაველის პროსპექტის № 37 სახლის მცხოვრებლები უზრუნველყოფილი იქნებიან წყლით.

ბოლნისის ამბები

ნიანგმა თავის მე-15 ნომერში დაბეჭდილ წერილზე „ბოლნისის ამბები" პასუხი მიიღო საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომიდან. მასში აღნიშნულია თუ რა ამბები მოხდა აღნიშნული წერილის გამოქვეყნების შემდეგ.

რაიკომის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ. დამნაშავეებს დაადო სათანადო სასჯელი (რამდენიმე კაცი მოიხსნა სამუშაოდან) და დაისახა ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.



— შენი ბრიგადის ტრაქტორისტები კიდევ არ მუშაობენ?
— როგორ გეკადრებათ, სამი დღე და ღამე ტრაქტორის რემონტზე მუშაობენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ასეთ ლელ ...

— აღარ ეტევა, — ავტორიტეტულად განაცხადა სანდრო ბერიკაშვილმა და არანაკლებ ავტორიტეტულად დაასკვნა, — წვიმა მაინც არ მოვა, გარეთ დავყაროთ.

—რაღა გარეთა ჰყრით, ბარემ სახლში წავიღებ,—მორცხვად განაცხადა გიორგი დარჩიაშვილმა და, პასუხისათვის არც კი მოუცდია, სამი სავსე ტომარა სახლში გადაიტანა.

— მაგას რა კითხვა უნდა, წაიღე, ღმერთმა შეგარგოს, — თქვა მეგობრის მორცხვობით განაწყენებულმა სანდრომ და არც სხვა ახლობლები დაივიწყა, ყველანი უხვად დაასაჩუქრა.

ზემოთ ნათქვამი რომ ყველასათვის ნათელი გახდეს, უნდა ითქვას, რომ მეგობრების მოყვარული სანდრო ბერიკაშვილი ბაკურციხის კოლმეურნეობის საველე საწყობის გამგე იყო, საწყობმა ხორბალი ადარ დიტია და ხუთი ტონა ციო ქვეშ დაყარა. გიორგი დარჩიაშვილი კი მეღორეობის ფერმის გამგე იყო. ახლა ყველაფერი გასაგებია და ეს ამბავიც ამით დამთავრდებოდა, მაგრამ ბუნებას თავისი გეგმები აქვს, ისევე, როგორც სანდრო ბერიკაშვილს ჰქონდა თავისი გეგმები. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ სანდროსი და ბუნების გეგმები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს ყველაფერი რომ უფრო მარტივი ენით გამოვთქვათ, ალაზნის ველზე მოწვიმა. დიახ, ცა მოიღრუბლა, გაიელვა და მოწვიმა.

— რა მეშველება? — მოიღრუბლა სანდროც.

წვიმა არ წყდებოდა. გარეთ დაყრილი ხორბალი მთლიანად დასველდა და გაფუჭდა.

—რა გვეშველება? — კვლავ წუხდა საწყობის გამგე.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, დავით სამნიაშვილს მოახსენე, — ურჩია მეღორეობის ფერმის გამგემ.

თავმჯდომარეს მოახსენეს. დავით სამნიაშვილმა კოლმეურნეობის აგრონომი, იგივე პარტორგი ივანე ფოციტაშვილი მოიხმო და თავის მხრივ შეეკითხა:

— რა გვეშველება? როგორ დავფაროთ ჩვენი დანაშაული?

— ალაზანი დიდია, — თქვა ვიღაცამ.

—ალაზანი დიდია, — ერთხმად გაიმეორეს კოლმეურნეობის მესვეურებმა და ერთხმად გადაწყვიტეს...

გვიან ღამით კოლმეურნეობის მძღოლმა შალვა აბრამიშვილმა კიტყვოდ შეასრულა უფროსების ბრძანება და ტონობით ხორბალს ალაზნის წყალში გადაუძახა.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენი ადამიანის შრომა გადაიყარა წყალში ხორბალთან ერთად.

— შესანიშნავია, უხაროდათ თევზებს.

— კარგად მოვიფიქრეთ, — თევზებზე უფრო უხაროდათ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს.

— მერე? — იკითხავთ თქვენ.

ჩვენ ჩვენი ვთქვით.

პროკოფი ხვიჩია.

დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან

სიამოვნებისაგან გამბურძგლა ტანში, როდესაც გავიგე, რომ ნალჩიკამდე შემიძლია სარეისო მსუბუქი ავტომანქანით ვიმგზავრო. და აი მე უკვე ხელში მაქვს ბილეთი და მზითვივით მოყოლებული კიდევ საკომისიო ბილეთი № 216862. თანხა არცთუ ისე დიდია, ბილეთი ღირს რვა მანეთი და სამოცდათსუთმეტი კაპიკი, მზითვი კი — ოცი კაპიკი. ხვალ, თვრამეტ ოქტომბერს, დილის შვიდ საათსა და ორმოცდაცუთ წუთზე დავიძრები თბილისქალაქიდან.

ავტოსადგურში თითქმის მთელი ერთი საათით ადრე მივედი. ვფიქრობ: ჩემსავით ადრე მოვლენ სხვა მგზავრები. მძღოლი მოგვესალმება, გაგვიღიმებს და გვეტყვის: — აი ეს მესმის, რაღა გრაფიკს ვუცადოთ, ყველანი აქ ხართ, თუ ქალაქში საქმე არა გაქვთ, წავიდეთ. ყველაფერი ადრე ჯობია, სიკვდილის გარდა, გავეხუმრები მძღოლს, მძღოლს გაეხარდება და მეტყვის: — მხიარული პასაჟირები შემხვდით და ამას რა ჯობიაო, მერე მომიბრუნდება და მეტყვის: — იცოდე, შენ ჩემს გვერდით უნდა დაჯდე, ნალჩიკამდე ძმებივით უნდა ვიყოთო. და ვთვლით ასე სიცილ-ხარხარით გზაში. ყაზბეგში თერთმეტ საათზე მაინც ვიქნებით. გავჩერდებით, მგზავრები ცოტას გადავკრავთ და ჩვენს მძღოლს ერთ ყლუპსაც არ დავალევინებთ, ჩვენი მძღოლი კი გონებამახვილურად იხუმრებს: — ეს რა ლოთი პასაჟირები შემხვდაო.

კრიალოსანივით აწყობილი ოცნება გამყივანმა ხმამ დამიმნია.

— ვისაც ბილეთები არა გაქვთ, ჩემთან!

ეს არ იყო მოლარე, ეს იყო მძღოლი.

ტაქსი ელვის სისწრაფით აივსო და დაიძრა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. საათს შევხედე, ახლა ყაზბეგში ჭიქებს უნდა ვუკაკუნებდეთ.

მივმართეთ ავტოსადგურის თავკაცთ, სამარისებური დუმილი შეგვაგებეს. გული სიბრაზისაგან სიჯდებოდა, ტაქსები კი უბილეთო მგზავრებით ივსებოდა.

მოეღო ბოლო უბილეთო მგზავრებს. დავტრიალდით ბილეთებიანი და, როგორც იქნა, ორი კაცი დავითანხმეთ, ვურჩიეთ რომ ესენტუკში მშვენიერი ჰაერი და წყლებია, მაგრამ ტაქსი? აი ზიმ-ტაქსიც № გო 93-52.

— უბილეთო რამდენია?

— ორი.

მძღოლი ისე ჩაფიქრდა, თითქოს ხუთუცნობიან განტოლებას ხსნისო. უბილეთო მგზავრებს მშობლიური ალერსით შეხედა, ჩვენ კი ისეთი მზერა გვესროლა, თითქოს და თითოეულს ათ-ათი მანეთი წაგვერთმია მისთვის.

— მე თქვენი წაყვანის უფლება არა მაქვს. — მოგვმართა მან, მაგრამ წავიდეთ გარაჟში და თუ ნებას მომცემენ, წამოვალ.

მივედით გარაჟში.

დიდი ჩალიჩის შემდეგ ჩვენი წასვლა გადაწყდა.

დამადლებული საუნჯეც არ მინდა, ჩვენმა მძღოლმა კი ისე აგვავსო საყვედურებით, რომ კინაღამ ფასანაურში ჩამოვედი. ბილეთს რომ იღებდით, მე რა, ჯამის მადა არა მაქვს, თუ რაშია საქმე, თქვენს ბილეთს არც ხორცი აქვს და არც ძვალი.

ადგილ-ადგილ ავტოინსპექტორი გვაჩერებდა და გარკვეული დისტანციიდან, ისე რომ მრიცხველისათვის არ შეეხედა გვთვლიდა სათითაოდ უსულო საგნებივით და, რაღა დაგიმალოთ, არც ავტოინსპექტორებს მოსვლიათ აზრად ბილეთების შემოწმება.

განრისხებულმა მძღოლმა ავტოსადგურამდისაც კი არ მიგვიყვანა და გზაში დაგვტოვა ბედის ანაბარად.

შეცდომებზე ვიზრდებითო, მე კი მომავალში გამოვასწორებ ჩემს შეცდომას, მაგრამ ვაითუ მსუბუქმა სამარშრუტო ტაქსებმაც გამოასწორონ თავიანთი შეცდომა და მომავალში, როგორც უბილეთო, დავრჩე გაუმგზავრებელი?

ყველაფერი მოსალოდნელია.

ი. გერსამია

— ცოტა მაღლა რომ ავესროლე მანქანას, ვერტმფრენით წავიდოდი!

მინიატურები

საბართლიანი საყვედური

დირექტორმა მდივან ქალს გამოუძახა და მრისხანედ ჰკითხა:

— ვისი ხელმოწერაა ეს?

— თქვენი, ბატონო...

— სად გქონდა ყურადღება, რომ ასეთ სისულელეზე მომაწერინე ხელი?

მეცნიერებასა და ცხოვრებაში

—კვანტური მექანიკა არ გაგიგონია?!. ჩამორჩენილხარ ცხოვრებას...

— მე ვარ ჩამორჩენილი?! მექანიკა არ გიცი' თორემ კვანტური რამდენი რამე მინახავს და გამომიცდია კიდეც.

ორი ნაცნობი

— ერთ დროს მეგობრები ვიყავით. ვერ მიცანით?

— უკაცრავად, მე ის არა ვარ, რაც ვიყავი.

— რომ იცოდეთ, არც მე ვარ ის, რაც ვიყავი.

—მაშინ ახლად გავეცნოთ ერთმანეთს.

ა. ბასილაია

ნახ. გ. სიხარულიძისა

— ამ დილით ეს ყმაწვილები მეღვინეობაში ჩაიბერენ!

— ახლა კი კარგად ჩაუბარებიათ!

დაკარგული ბარათი

ის იყო მატარებელმა სიისწრაფეს უმატა, რომ ფანჯრიდან რადაც ქაღალდი ფრიალ-ფრიალით წამოვიდა და მეც უნებურად წავედე ხელი. აი ის ბარათიც:

„მამა, მოსკოვში აუცილებლად მიყიდე:

ფეხსაცმელი — 41 ნომერი, მოკასინი — იტალიური.

თეთრი ან კრემისფერი, წვრილი ნასვრეტებით, ჩეხური ნასკები — არაბული, ელექტრიკა, თეთრიც, შავიც, წითელიც.

გალუტკები — ნეილონის.

მზის სათვალე, — შავჩარჩოიანი, ჩეხური.

საოჩაკა. ყელის ზომა 38, თეთრი, კარგი საყელოთი, შიგნიდან აუცილებლად გასაყრელი ძვლებით, — ვიეტნამური.

მოქსოვილი ან ისე შავი საოჩაკა — უნგრული.

კოსტუმი — მუქმწვანე, 48 ვტაროი როსტი, სამ ღილზე — ინგლისური.

ცხვირსახოცები — ჩინური.

სპპარსი კრემი — გერმანული.

ქუდი. თავის ზომა 60 სანტ. — პოლონური.

ავტრი, ეხვში შალისაგან ნაქსოვი, გულზე ამოჭრილი —იტალიური.

ხელთათმანი — სერი და შავები, თხელი ტყავის, თბილებიც — ფრანგული.

კბილის ჩოთქი — გერმანული.

კბილის პასტა — ბულგარული.

საწვიმარი პლაშჩი — თხელი ნეილონის. გამშვირვალე არ იყოს, მუქი სერი ან მუქი ლურჯი — იტალიური.

მოკლესახელოებიანი საპაფხულო, მხიარული ფერის საოჩაკა — ვიეტნამური.

ნეილონის თეთრი გაუმშვირვალე საოჩაკა — გერმანული.

შარვალი — სერი, დიდი ჯიბეებით, 48 ზომა, მეორე რასტი — მექსიკური.

კოგბოიკა — წითელი — ამერიკული.

კეტი — ჩეხური.“

კითხვა დავამთავრე და გულში გავიფიქრე: ეს უკანასკნელი აუცილებლად საჭიროა (კეტი) მხოლოდ არა ჩეხური, არამედ იმერული, იგი ნამდვილად მოუხდება როგორც განებივრებულ შვილიკოს, ისე გულმოწყალე მამიკოს, და არა ფეხზე, არამედ პირდაპირ თავში!

კ. გელათელი.

ნახ. ბ. ფირცხალავისა

მთელი „დამპალობის“ შემდეგ სიძნელეთა გადალახვა.

ლექსი

ააშენეს ხიდი.
თქვეს ხიდს ჭირდებიან ბრაჯი.
მოიყვანეს, დააყენეს ბაჯი.
ხომ უნდა აიღო დარბელფასი, მოუყვანეს
დარაჯს ბუღალტერი,
დარაჯს და ბუღალტერ ხომ სჭირდებოდათ
უფროსი?
დანიშნეს უფროსი,
ასე შეიქმნა შტატი.
მოვიდა ბრძანება შტატ შემცირების შესახებ.
შეამცირეს დარაჯი.

ნ. ლილაშვილი

ნახ. ნ. ბალაზონიანი

— კოლექტივში იმუშაო, რომ მეუბნებიან, ამოდენა საკარმიდამოს მოვლა არ უნდა?!

ოთხკაპიკა რაინდები

ტროლეიბუსმა ბაღდადურის ბუქნით ჩაუხვია ვერის დამარცხ-ზე, ბიეგელებით გაიზმორა, ცეიბიანივით ამოგმიგდა და ვირივით გაჩერდა, რამდენიმე ახალგაზრდა შეგვარდა ნახევრადგაღებულ კარებში.

კალოშებიანმა „მადონამ“ ბარიტონით დამიდერა არი:

— „ავიღოთ ბილეთები“.

ტროლეიბუსში გაჩაღდა ქარიფული ჭიდაობა:

— არ გაბეღო ბილეთის აღება!

მე ავიღებ...

— აგერაა, ა! მეწყინება, დედას ვფიცავარ!

— წაიღე ხელი, გელაპარაკები!

— ეჰ, დამკარგავ!

— გამიშვი, კაცო, არ დამღუპო!

— მოდმივი მაქვს...

— მერე რა! უკვე გადავეცა!

— კონდუქტორ, არ გამოართვა!

— დაამრუნეთ, აგერაა ხურდა!

— ხელი ნაღრძობი მაქვს, გამიშვი!

— შემომახიე ხალათი? მაინც ავიღებ, იცოდე!

— შეგიძლეს!

— მოგიკვდეს! გულით საყვარელ-ოთ კალეს!

— [illegible] დამენტერა! [illegible] ყინინა!

— [illegible] ...

— დაბეშვან ხანლ-ქარი, თუ გა-დასცეს!

— ვინც არ დაამრუნოს ფული, ამოიწყვდეს ცოლ-შვილი!

— შეგირსხვეს ეაფაცოობა, თუ ჯიბეში ხელი ჩაიყო!

—მე უკვე ავიღე, აგერაა ა!

— მომკალი ხომ ხელზე მიკბინე?!

— არ მიკბენია, მაგრამ გიკბენ!

— მოუფაავ?

— დამკალი, ბიჭო?

— ფუ, დაგესხას თავსლაფი!

ტროლეიბუსი ძველ წისქვილივით ამიგმიგდა, ლორივით დაიღრეტტუნა და ბებრეკი ჯორივით წაჩაბრალდა.

ეჰ, ჩაკთბვილო, ამ ოთხკაპიკიანი რაინდებიდან რესტორანში პირველი რომელი გიიკრავდა ხელს გახვრეტილი ჯიბისაკენ?

ქართლოს ქასრაძე.



...რომ მსოფლიოში ყველა დროისათვის ჯერ კიდევ არნახული ტემპით მიმდინარეობს ჰურის საცხობის მშენებლობა ზუგდიდის რაიონის სოფელ ორლულში. მშენებლობა 1953 წელს დაიწყო და, როდესაც კედლმა უმოკლეს ხანში მეტრნახევარ სიმაღლეს მიაღწია, მშენებლებმა მხოლოდ რვაწლიანი შესავლების შემდეგ მშენებლობა სხვა ადგილას გადაიტანეს. სულ რაღაც თვეების განმავლობაში ახალი შენობის კედლებმა 2 მეტრს მიაღწიეს. გაოგნებული და ზომაზე მეტად გაოცებული ორლულელი კოლმეურნეები თვალს არ უჯერებენ და აინტერესებთ, თუ კიდევ რამდენ წამს შეესვენებს მშენებელი ორგანიზაცია.

...რომ ქალაქ ბათუმის მცხოვრებლები მხოლოდ ერთი დღის დაგვიანებით დებულობენ თბილისიდან ჟურნალ-გაზეთებს. გამონაკლისს წარმოადგენენ გაზეთები „იზვესტია“ და „ზარია ვოსტოკა“. უზომოდ აღფრთოვანებული ბათუმელი მკითხველები გაოცებისაგან დაბნეულები არიან და ვერ მიმხვდარან ვის უნდა გადაუბადონ მადლობა, ადგილობრივ ხელმძღვანელობას, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თუ რესპუბლიკის ზოგიერთ ორგანოს.

...რომ ქ. ბათუმში, სამშენებლო ქუჩის ერთადერთი მშრალი ადგილი არის იქ, სადაც ქალაქის ნაგავს ყრიან. ქუჩის დანარჩენი ნაწილი ზამთარ-ზაფხულ სველია. სამშენებლო ქუჩის მაზვილენინერი მცხოვრებლები ნაგავს ბაუშვების სათამაშო ადგილად იყენებენ, ხოლო ფუმპესა და ტალახს კი ღორებისა და სხვა ცხოველებისათვის. მცხოვრებლები ამაყობენ ქუჩის ამ თავისებურებებით და არასოდეს არ დათანხმდებიან სათანადო ორგანოებს იმაზე, რომ მიღებულ იქნეს რაიმე ზომები ქუჩის კეთილმოწყობისათვის.

...რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ ფაუნულანში „კუტუტურას“ ქედზე მცხოვრებ 15 კომლს, სხვა ბედნიერებასთან ერთად, წყაროს წყალი ჰქონდათ. კოლმეურნეობის გამგეობამ გადაასწყვიტა ეს წყალი სოფლის ცენტრამდე ჩაეყვანა. ეს საქმე მშენებელმა ჯ. ბულიამ იკისრა და უაღრესად ორიგინალურად გადასწყვიტა კიდეევაც. მის მიერ საკუთარი მეთოდით წარმართული საშენაოების შედეგად წყალმა ცენტრამდე ვერ მიაღწია და, რაც ყველაზე უფრო ორიგინალურია, სრულიად შეწყდა. ბულიას მეთოდი ჯერჯერობით ერთადერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს საზოგადოებაშიაც აქა-იქ ბოგინობენ პარაზიტები... მცირეა მათი რიცხვი, მაგრამ არც ამ მცირეს ითმენს ჩვენი მჩქეფარე ცხოვრება, გლეჯს, როგორც სარეველას, ნაპირზე რიყავს, როგორც მკვდარ სხეულს, როგორც დამპალ ვაშლს, რომელიც, დროზე თუ არ მოაცალე, ერთი ცხრას ალპობს.

აი ზოგი მათგანი

მენახ სიმონის-ძე მანაშეროვი — 1934 წელს მისთვის დაბადებული ქ. ცხინვალში, რომ ხუთი წელი ქურდობისათვის მჯდარიყო, პატიმრობიდან დაბრუნებულს გულზე დაეკრიფა ხელები, არც ოჯახს გამოდგომოდა, არც საზოგადოებას, არც საღი გონების კარნახისთვის მიეპყრო გულისყური და არც მილიციის გაფრთხილებებისათვის... ახლა ორი წლით სამგორში გაასახლეს მენახი, უნდოდათ იქ მაინც გამოსწორებული ენახათ, მაგრამ მენახმა ვინმე გვარამაძეს პორტფელი მოჰპარა და ნახა რომ პორტფელში 38 მანეთი თვლემს, გაუხარდა და, როგორც ამბობენ, გულში გადაწყვიტა „ჩემს თავის საყვარელ ხელობას, ქურდობას, დაუბრუნდეს...

გიჟი მიუშვი ნებასა. მიდი, მიდი, ვნახოთ სანამდე მიგიყვანს ეს მოლიპული გზა...

კარგად მენახე, მენახ!

მერხაიმ მორდეხის-ძე ჯინჯიხაშვილი — ცხინვალში ცხოვრობს, ტელმანის ჩიხის №8-ში, 1935 წელსაა დაბადებული, მისი მშობლები მასზე ადრე დაიბადნენ, ერთ დროს მაღაზიები მქონდათ, მერე „არაფერს“ აკეთებენ და გადასარევად ცხოვრობენ. მერხაიმსაც ფრიადზე აღწავლეს „არაფრისკეთებით“ ჩინებულად ცხოვრების დიდებული ხელოვნება.

მერხაიმი ბეჯითი მოსწავლე გამოდგა, 27 წლის ვაჟკაცს დღემდე თითი არ გაუნძრევია. ერთ ხანს მილიციამ არ მოასვენა, საქმე მოგიხდებაო და გაასახლა, მაგრამ მერხაიმმა მშვენივრად იცის, რა მოუხდება და რა არა, დაჰკრა ხიჭმა ფეხი და ისევ ცხინვალში ამოჰყო თავი...

ჰოდა, ახლა ზის ერთი წლით...

ზნაურელ **ზარეტა ხიტას ასულ კარაევას**, 1937 წელს რომ დაიბადა სოფ. კორნისში, თეთრი ხელები აქვს და მაცდური თვალები, კორნისი და ზნაური პროვინციად მიაჩნია, რა ლამაზი ქალის საცხოვრებელი ადგილებიაო, ცხინვალქალაქში უყვარს უგზოუკვლო ხეტიალი, ეშმაკ თვალთათვის წყლის დალევინება...

ხევრჯერ დაიბარეს მილიციაში: ზარეტა ხიტას ასულო, ამდენს ნუ დადიხარ, თორემ ლამაზი ფეხები გეტკინებაო, მაგრამ ზარეტამ ქვას შეუშვირა თავი, მივლია და ვივლი, სანამ ცოცხალვარ, ჩემს ქიას ვახარებ, ვისი რა საქმეაო...

ახლა ტყიბულში გააგზავნეს ეს კორნისელი ვენერა ხუთი წლით, ვინძლო საქმეს დაუდოს გული და ზედმეტი წყლის დალევინებით თვალები არ დაებრიცოს.

შალვა ბესარიონის-ძე თოფჩიშვილმა, ცხინვალელმა, 1931 წელს დაბადებულმა, ცოლშვილიანმა, კარგად იცის, რომ ადამიანი ცოლს უნდა გაუფრთხილდეს, ამიტომაც არც ცოლს ამუშავებს და არც თვითონ მუშაობს. ხშირად დაიარება სხვადასხვა ქალაქებში, ვის რას მჰპირდება და ვის რას, მისთვის სიტყვიერად ჩიტის რძეც მისაწვდომია, ფულს გამოგართმევს და მერე ფულსაც უნდა დაემშვიდობო და შალვასაც...

აუხირდა ხალხი, აგურის ქარხანაში მიაბრძანეს სამუშაოდ, ჩვენს მშენებლებს ერთი აგური შენც შესძინეო, მაგრამ შალვამ იუკადრისა და სათოფეზე არ გაეკარა იქაურობას...

ცოცხალი ბიჭია, ერთ ადგილზე რა შვილია, რომ გაჩერდეს, თუ არ გააჩერეს...

ჰოდა, გააჩერეს...

1926 წელს ცხინვალის რაიონის სოფ. აჩაბეთში დაიბადა **გოგი იოსების-ძე ბაბუციძე**, ისეთი გამრჯე და შრომისმოყვარე დედ-მამა ჰყავს რომ ბერიკაცი და დედაბერი ოჯახს, ასეა თუ ისე, კიდევ არჩენენ, მაგრამ თვითონ გოგის ფეჩხი არ შემოაქვს ოჯახში, წელიწადში ერთხელ ხილს წაიღებს, გადაიკარგება, ხუთი-ექვსი თვის შემდეგ მობრუნდება, მოაკითხავს უპატრონოდ მიტოვებულ ცოლ-შვილს და ასე ლევს ამ წუთისოფელს.

არც ის ახსოვს, რა მიიღო შარშან კოლმეურნეობიდან, და არც ის იცის, წელს მიიღებს თუ არა რაიმეს...

— რაც არ უმუშავია, აბა, რას მიიღებს, შვილო? — ამბობს მისი ხელებდაკოჟრილი დედა, რომელიც საცაა რვაათეულ წელს მოითვლის...

წელს გაუბედეს და კოლმეურნეობის გამგეობაში გამოიძახეს გოგი-ბატონი.

— როგორ მიბედავთ, ჯერ გამგეობის წევრად მიმიღეთ და მერე გამოვცხადდებიო...

ასეთი პატივმოყვარე კაცია გოგი ბაბუციძე..

თუ ცხინვალის რაიმილიციის მუშაკებს გაუჩინეს ეს ზედმეტი საზრუნავი ყალთაბანდებმა, არც გორის რაიმილიციაში სხედან გულხელდაკრეფილად ს. ფუხაშვილი, ი. გორგიშვილი, მ. შიუკაშვილი და სხვა ოპერატიული მუშაკები. აი მათ „სამფლობელოში“ აღზრდილ-დავაჟკაცებულ-გამოვლინებული გვრიტები:

ტყვიაველი **სევერიან ალექსის-ძე პაპიაშვილი**, დაბადებული 1929 წელს. სევერიანეს ერთი დედა ჰყავს სარჩენი და საკუთარი თავი. მაგრამ სევერიანეს შრომა ბავშვობიდანვე არ უყვარს, რადა მე ვარჩინო საკუთარი დედა, საკუთარმა დედამ მე მარჩინოსო. არც კოლმეურნეობაში იმუშავა და არც ოჯახში, ორი წლით გამოუცვალეს ჰაერი, მაგრამ გამოიპარა და ახლა სარკმლიდან ტკბება მზის ჩასვლა-ამოსვლით...

გიორგი ალოკის-ძე ტურაშვილი 23 წლის ჭაბუკია, ქვახვრელელი, ხულიგნობა მარტო ქალაქური მოვლენა არ არისო და სოფელშიაც ნაყოფიერად გადანერგა, თანაც ტურასავით დაწანწალებდა ღამღამობით, ეძებდა საკბილოს, იპოვა და იპოვეს თვითონაც, წაასწრეს და სამი წლით უბოდიშოდ დაასვენეს.

სოფელი საქაშეთი იმითაა „ბედნიერი“, რომ იქ 1941 წელს იშვა **მარადი გიორგის-ძე მოგელაშვილი**. ჯერ ოცდაორი წლისაც არ არის და იმდენი დაიმსახურა მარადმა, რომ ჭიათურაში სამუშაოდ გაასახლეს, მაგრამ გამოიქცა, მე მარადი არ ვიყო თუ მარად საქაშეთში არ ვიყოო... ახლა, ცოტა არ იყოს, დაასვენეს...

მარად ასეთი დარჩები, მარად?

მარადზე ერთი წლით უმცროსია ფლავში დაბადებული **რევაზ იოსების-ძე ეცადაშვილი**, რომელიც ბევრს ეცადა, მარად მუქთამჭამელად დარჩენილიყო, მაგრამ არ გამოუვიდა, ჩაუფლავდა ნაფიქრალი, გაასახლეს, გამოიქცა და ახლა მარადს უმშვენებს გვერდს...

ეცადე, ეცადაშვილო, იქიდან რომ გამოხვალ, მაშინაც არ ჩაფლავდე...

კასპის რაიონის რაიმილიციის უფროსის ალექსანდრე მელიქიძის და მისი თანამშრომლების გ. მეიშვილის, გ. ულუხანოვისა და სხვათა წინაშე განსაკუთრებული ამოცანა იდგა. უნდა ნივთიერად დაემტკიცებინათ სადამდე მიჰყავს ადამიანი მუქთამჭამლობას, უქნარობასა და ყალთაბანდობას.

— ქურდობამდე, დანაშაულამდე, — აი კასპის მილიციის მუშაკთა ერთობლივი პასუხი.

ოკამელი **ომარ ალექსანდრეს-ძე შაბიაშვილი** საქმეს გულს ვერ უდებდა... ეს იმიტომ, რომ თვალები გაურბოდა განზე. თუ რამეს სახელდახელოდ მოიხელთებდა, ხელთ იგდებდა უთუოდ...

პირველად იმისათვის „ჩავარდა“, რომ სულ რაღაც ოთხი ქათამი მოიპარა, მერე იყო და იმაზე იჯდა „კლუჩი“ რომ ჩაარტყა ბრიგადირს, ახლა კი მეურნეობიდან მხოლოდ 50 კილოგრამი ყურძენი ააცოცა და ცოტა ხანი გამოკეტილში იყავიო, უთხრეს...

ჯერ „დაოსტატებული“ არ არის ბიჭი და სამჯერ იჯდა, მეტი რა გინდათ.

ლამისყანელ **ბადალო სიმონის-ძე ქოსიაშვილს** ლამისყანელ „თანაკოლეგებს“ შორის უქნარობაში ბადალი არა ჰყავდა...

ახლა ორი წლით ახმეტაში გაიგზავნა...

ახმეტაში კარგი ჰაერია და ახ, ნეტავი, გაგვაგებინა ბადალომ ხასიათი თუ შეიცვალა...

მშრომელი კაცია ქვემოხანდაკელი ზაქარია ქათამაშვილი, ოჯახში ქათმებიც ჰყავს, მაგრამ ჰყავს ინდაურებიც და აი სწორედ ამ ქათამაძის ეზოში არა ქათმების, არამედ ინდაურების ქურდობაზე ჩავარდნენ... თუმცა თავიდან დავიწყოთ.

სოფელ ფერმაში ცხოვრობს **ამბარ აბაზ ოღლი**, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი ქვისლი წალკელი **გუსეინოვი გულო ნოვროზ ოღლი**, რომელიც სოფელ ასავრას მცხოვრებად ითვლება. გუსეინოვი გულო ნოვროზ ოღლისაც გამეტებით უყვარს ფერმელი ქვისლი ამბარ აბაზ ოღლი, რომელიც ქათმების ქურდობისათვის იჯდა.

გულო ნოვროზ ოღლის ასავრაში ერთი წელია ოფლი არ გამოსდენია და აი ეწვია ქათმის ქურდობისათვის პატიმრობიდან სულ რაღაც სამი თვის დაბრუნებულ ქვისლს. ქვისლებმა ხელი ხელს გადახვიეს ერთი მეორეს და სოფელ ქვემოხანდაკში ეზოები მიათვალიერ-მოათვალიერეს. დადგენილი არ არის, გულომ მისცა წინადადება პირველმა თუ ამბარმა, მაგრამ წინადადება უყოყმანოდ და სიამოვნებით იქნა მიღებული, მოეწყო ქათამაძის ინდაურებზე ვერაგული თავდასხმა, მუსრი გაავლეს ცხრა ინდაურს, ჩაყარეს წინასწარ მომარაგებულ ტომრებში და ხაზარდა... მოუსვეს... მაგრამ კასპის რაიმილიციის მუშაკებმა ქვისლებსა და ინდაურებს ერთის მოსმით მოუსვეს ხელი და გაიყვანეს „სამშვიდობოს“...

— აი უსაქმურობისა და ყალთაბანდობის ბოლო.

კუჩა.

ერთი ლაქის ფრაგმენტები

ერთიც ვნახოთ და „ვოლგა“ ან „მოსკვიჩი“ დამაჯახოს რომელიმე ბედნიერმა ბილეთმა და უცბათ ამაშენოს კაციო, — ფიქრობდა ოთარ თარგამაძე და ნაყიდ ლატარიის ბილეთებს ოჯახის წევრთა სახელებს აწერდა, იქნებ რომელიმეს იდბალმა შავი დედალივით გამაკეთესო.

თარგამაძეც, მეკვერცხული დედალივით ელოდა ფულისა და ნივთების 1962 წ. მე-3 გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟის გამოჩეკვას. წინასწარმეტყველივით გრძნობდა, რომ ფუჭად არ უნდა ჩაეგლო მისთვის ამ ნაადრევ ოცნებას. იგი სიზმარში ხედავდა ოქროს წიწილებად ქცეულ ლატარიის ბილეთებს, რომლებიც გარშემო წივწივით ეხვეოდნენ, ხტოდნენ და თანდათან იზრდებოდნენ ვეებერთელა „ვოლგებად“ და „მოსკვიჩებად“.

დადგა გათამაშების დღე — 20 სექტემბერი, მაგრამ... გაზეთში გამოქვეყნებული ლატარის ნომრები სათოფე მანძილზე გაურბოდნენ თარგამაძის ბილეთების ნომრებს.

— აი, დალახვროს ღმერთმა, რა ბედი მაქვს. ჩემისთანა კაცისა ლატარიის ბილეთი კი არა, მაკე ძროხაც ვერ მოიგებსო. — ჩაილაპარაკა ბედისმაძიებელმა და ორი უკანასკნელი ბილეთიც შეუდარა გაზეთში გამოქვეყნებულ ნომრებს.

ოთარ თარგამაძე სკამიდან გიჟივით წამოვარდა... ბილეთის ნომერი № 109 დაემთხვა... ახლა სერიის ნომერს გააყოლა თვალი. ოთარის წარბი აუთამაშდა. სერიის ნომრის პირველ სამ ციფრს კარგად მოჰკრა თვალი „109“, რომელიც გაზეთში იყო ალბეჭდილი და ბილეთის ნომერს ეფარდებოდა. ასევე დაემთხვა ბოლო ციფრი „8“, მაგრამ წინა ციფრზე თვალი უჭრელდებოდა. ხან „6“-ად ეჩვენებოდა და ხან „8“-ად. სინამდვილეში, კი „8“ იყო. ოთარმა სიზმარეულივით რვაჯერ მოიფშვნიტა თვალები, ბოლოს გამადიდებელი შუშაც მოიშველია, მაგრამ ვერ იქნა, მიზანს ვერ მიაღწია. ბედისმაძიებელი დარწმუნდა, რომ სერიის ნომერი გაზეთში იყო 10988, რომელიც „მოსკვიჩს“ იგებდა და მის ბილეთზე კი 10968 ეწერა.

უბრალო ციფრის განსხვავებამ კაცი გადარია. ნეტავი სულაც არ გაჰკარებოდაო ნომერი, იძახდა დანაღვლიანებული უიღბლო. სიზმრად ნახული ოქროს წიწილები წრუწუნებად გადაიქცნენ და ჩაძვრნენ იატაკის ნახვრეტში, რომელიც ოთარს ბავშვობიდან მიაჩნდა სიმბოლოდ მარადიული სიბნელისა.

ჩვენს გმირს ჯერ თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მალე წყვდიადით მოცული თავი უცებ გაუნათდა. მან სამართებელი მოიმარჯვა ხელში. თავს იჭრიდა, რადგან ციფრი „8“-ის ამოკვეთაზე დაიწყო ვარჯიში. ბოლოს ერთი „8“-ნი ყველაზე უფრო მოეწონა და № 10968 სერიის ბილეთზე „6“-ის ადგილას ისე კარგად ჩააწება, რომ მოგებული ბილეთის სერიის № 10988 გამოიყვანა. შეუიარაღებელი თვალით კაცი ვერაფერს შეამჩნევდა.

ყალბისმქნელმა ბევრი იტრიალა შემსალაროების შორიახლო, მაგრამ ბილეთის წარდგენა ვერ გაბედა. ვაითუ, გამიგონ და მოგების მაგივრად თავი არ მომეჭრასო. მაგრამ მას უკვე წინადღესვე ჰქონდა თავი მოჭრილი.

ერთ დღეს ამ დიპლომიანმა ეკონომისტმა ზუსტხელსაწყოთა ქარხანაში ხმა დაარხია, რომ ჩემმა ლატარიის ბილეთმა „მოსკვიჩი“ მოიგოო. ხმა ჭექა-ქუხილივით გავარდა და მიმლოცველთა რიგი დადგა ოთარ თარგამაძის კაბინეტში.

— „მოსკვიჩი“ მოგვილოცავს, ოთარ!

ხაიმ ფიჩხაძემაც მიულოცა მეგობარს და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ოთარმა ხაიმ ფიჩხაძე გარეთ გამოიხმო და ნაჩურჩულები გაამეორებინა.

— ჩემს ამხანაგს „მოსკვიჩის“ ყიდვა უნდა, მაგრამ ცოტა რამ აფერხებს, ჯერ ერთი, ძნელია გამოტანა და მეორეც ის, რომ გამოედავეგიან საიდან და როგორო... „მოსკვიჩი“ 2500 მანეთი ღირს, 3500 შანეთს ჩაგითვლის. შე მამაცხონებულო, მეტი რა გინდა?! მე პატარა მაღარიჩი მეყოფაო, — ცოტა ხნის შემდეგ დასძინა ხაიმმა და გაინაბა. თარგამაძემ თვალები მოჭუტა. ისევ აწივწივდნენ ოქროს წიწილები, ისევ კეთდებოდა კაცი შავი დედალივით.

— დღესვე მომიყვანე ის კაცი, იცოდე, სხვებიც მევაჭრებიან! — ფეთიანივით წამოიძახა ოთარმა და თვალი რომ გაახილა...

ხაიმ ფიჩხაძე და მისი მეგობარი დავით რაგიმოვი მასთან გაჩნდნენ. დაიწყო საგანგებო მოლაპარაკება. ხაშურის ატეკის მღებავმა დავით რაგიმოვმა ლატარიის ბილეთი შეამოწმა, შეადარა და შეაჯერა გათამაშებულ ნომრებს. სისწორეში დარწმუნდა თუ არა, მაშინვე 3500 მანეთი შესთავაზა. ოთარმა 400 მანეთი მოსთხოვა, დ. რაგიმოვმა 200 მანეთი წაუმატა. გემრიელ ვახშამსაც შეპირდა.

3700 მანეთზე შეთანხმდნენ.

დავით რაგიმოვმა „მოსკვიჩმოგებული“ ბილეთი ჯიბეში ჩაიდო და შუაკაც ხაიმ ფიჩხაძის თანხლებით „სამადლოს“ რესტორანში მადლიანი ქეიფი გაიმართა.

სახლში მისვლისას თარგამაძემ ფული ხელახლა გადათვალა, ცალ-ცალკე დაანაწილა, სხვადასხვა ადგილას შეინახა. ერთი დასტა იატაკის ნახვრეტშიც ჩაჩურთა. მერე წაიძინა და ისევ ოქროს წიწილები შემოეხვივნენ. საოცარი ხმაურითა და განგაშით დარბოდნენ მის გარშემო „მოსკვიჩებად“ დაზრდილი ოქროს ფრთოსნები. მძინარეს ანჯღრევდნენ და ყურში სამსართულიან გინებებს ჩაბღაოდნენ. დ. რაგიმოვი, ხ. ფიჩხაძე და მათი ამხანაგები დასდგომოდნენ თავს. შავ დედალს გაეღვიძა. ატყდა ჩხუბი და აყალმაყალი. შავ დედალს შავად წაუვიდა საქმე, უკანვე დაუბრუნა რაგიმოვს ფული. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. თარგამაძეს და რაგიმოვს, ალბათ, სხვა ადგილზეც მოუწევთ ერთად საუბარი.

ვ. ნიკოლოზიშვილი

დიალოგი სახლმმართველოგაში



ნახ. ნ. მალაზონიახი

— პატივცემულო დომენტი, უკვე თოვლი მოდის!

— გვეღირსა, დაგვიდგა გათბობის სეზონი, აწი ჩვენც მოვითბობთ ხელს!

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, ზ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გაზზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 20/XI-1962 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები აგტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2181. უე 09234 ტირაჟი 40.000

642
29/XI 62

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებიდან

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა ჯერ კიდევ 1959 წლიდან მუშაობს ახალი ნიმუშის სარეცხი მანქანის ათვისებაზე და, თუ აღებული ტემპით ვიმსჯელებთ, აითვისებს მაშინ, როცა შეთავაზებული კონსტრუქცია საბოლოოდ მოძველდება.

ახალი კონსტრუქციის სარეცხი მანქანა, სანამ ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა გამოუშვებს სარეცხ მანქანებს.

ნახ. ჯ. ლოლუასი

ქარელის რაიონის 80 სოფლიდან 51 სოფელში არ არის მაღაზია და სავაჭრო წყარტი, არც ერთ სოფელში არ არის სასადილო.

— მიხო, ეს რა მთელი მაღაზია აგიკიდია ზურგზე?!
— მაშ რა ვქნა, თუ ქალაქიდან არაფერი ჩამოვიტანე, სანამდე ველოდო ჩვენ სოფელში მაღაზიის გახსნას!

სპეკულანტები და გადამყიდველები ჯერ კიდევ არხეინად გრძნობენ თავს საკოლმეურნეო ბაზრებში.

— ხორცმეტი გამყიდველსა და მომხმარებელს შორის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ ნაწარმის დაბალი ხარისხი, რომელსაც უშვებენ ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის №№ 2, 3, 4 და სხვა ტრიკოტაჟის ფაბრიკები, № 3 სამკერვალო ფაბრიკა.



— ასეთი კოსტუმი მეთევზეებს თუ გამოადგებათ ტანსაცმელი რომ არ დაუსველდეთ წყალში.